მინისტრის ხედვა
Minister's Vision
2015-2016

მინისტრის ხედვა

2015-2016

© თავდაცვის სამინისტრო
2015

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

1. შესავალი 5

2. თავდაცვის მართვის სრულყოფა 7

2.1 ადამიანური რესურსი 7

2.2 ინსტიტუციური რეფორმები 8

2.3 გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება 10

3. თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება 12

3.1 განათლება, წვრთნები და დოქტრინები 12

3.2 სამხედრო შესაძლებლობები 13

4. ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და
საერთაშორისო თანამშრომლობა 16

4.1 ნატო 16

4.2 ევროკავშირი 18

4.3 ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა 19

5. დასკვნა 20

საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება და რეფორმების შეუქცევადობა ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა. რეფორმების მიზანი, უმთავრესად, თავდაცვისუნარიანობის ზრდა, ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და შესაბამისად, ნატოში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობაა.

ჩვენი წარმატებული სვლა ნატოსკენ კიდევ უფრო გაღრმავდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომ განვითარებასა და ქვეყნის თავდაცვის პოტენციალის გაძლიერებას. საქართველოს მტკიცედ აქვს განზრახული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განუხრელი დაცვა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალი პროფესიონალიზმი და თავდადება გამორჩეულია არა მარტო ქართულ საზოგადოებაში, არამედ საერთაშორისო არენაზეც. აღნიშნული განპირობებულია იმ ერთგულებითა და თავგანწირვით, რომლითაც თითოეული ჩვენი ჯარისკაცი ემსახურება საქართველოს ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების დაცვას.

ვაცნობიერებთ რა, რომ ქვეყნის თავდაცვის ძირითად ბირთვს სამხედრო მოსამსახურე წარმოადგენს, ძალისხმევას არ დავიშურებთ, ჩვენი ჯარისკაცებისთვის ყველა პირობის შესაქმნელად, რათა ღირსეულად განაგრძონ სამსახური ქვეყნის ერთიანობისა და კეთილდღეობის განმტკიცებისათვის.

მინდია ჯანელიძე
საქართველოს თავდაცვის მინისტრი

1. შესავალი

„მინისტრის ხედვა 2015-2016“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომელიც ორი წლის განმავლობაში შეიარაღებული ძალების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. დოკუმენტი ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით განსაზღვრულ ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს, ითვალისწინებს ეროვნული საფრთხეების შეფასების დოკუმენტში ასახულ საფრთხეებსა და გამოწვევებს, გამომდინარეობს ეროვნული სამხედრო სტრატეგიით განსაზღვრული სამხედრო მიზნებიდან და ამოცანებიდან, რაც გულისხმობს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას, საერთაშორისო თანამშრომლობას და სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერას ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს. მინისტრის ხედვა ითვალისწინებს აგრეთვე იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ასახულია თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში და ეყრდნობა წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების რჩევებს.

დოკუმენტის მიზანია, არსებული საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას, მათ ჩამოყალიბებას თანამედროვე, პროფესიულ შეიარაღებულ ძალებად და ასევე ნატოსთან და ევროკავშირთან თავსებადობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელება განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და ნატოსთან თავსებადობას.

2015-2016 წლების განმავლობაში ჩვენი ყურადღება დაეთმობა შემდეგ ძირითად მიმართულებებს.

- თავდაცვის მართვის სრულყოფა
- თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება
- ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა

მინისტრის ხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელება ეფუძნება „კარგი მმართველობის“ შემდეგ პრინციპებს (იხ.გრაფა №1):





გრაფა №1: „კარგი მმართველობის“ პრინციპები

თავდაცვის მართვის სრულყოფა

ადამიანური რესურსები

- სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის მართვა და პროფესიული განვითარება
- სოციალური მხარდაჭერა
- გენდერული თანასწორობა

ინსტიტუციური რეფორმები

- თავდაცვის რესურსების ეფექტური მართვა
- შიდა კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება
- კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დახვეწა
- გამოცდილების გაზიარება

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

- პარლამენტთან ურთიერთობა
- თანამშრომლობა მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან
- თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია

თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება

განათლება, წვრთნები და დოქტრინები

- განათლება
- სამხედრო დოქტრინები
- სამხედრო წვრთნები

სამხედრო შესაძლებლობები

- მართვა და კონტროლი
- მობილურობა და კონტრმობილურობა
- სამხედრო დაზვერვის სისტემა
- საარტილერიო შესაძლებლობები
- ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები
- საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები
- სპეციალური ოპერაციების ძალები
- სამხედრო პოლიციის შესაძლებლობები
- ლოგისტიკის სისტემა
- სამხედრო ინფრასტრუქტურა

ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა

ნატო

- ალიანსთან თანამშრომლობა
- არსებითი პაკეტი
- ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალები
- მტკიცე მხარდაჭერის მისია
- ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატები

ევროკავშირი

- ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობა
- ევროკავშირთან აღებული ვალდებულებები

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

- პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება
- რეგიონული თანამშრომლობის ფორმატი

გრაფა №2 თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები 2015-2016 წლებისთვის

2. თავდაცვის მართვის სრულყოფა

თავდაცვის სისტემის მართვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებასა და თანამედროვე, პროფესიული ჯარის ჩამოყალიბებას ემსახურება. შესაბამისად, სრულ პროფესიულ სამხედრო სამსახურზე ეტაპობრივი გადასვლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეებისა და პერსონალის მართვის ეფექტური მექანიზმების განვითარებას, ქმედითი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას, დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების სრულყოფას და უწყებათაშორის თანამშრომლობას.

2.1. ადამიანური რესურსები

თავდაცვის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს პროფესიონალი და მოტივირებული სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებას. შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის პროფესიულ განვითარებასთან ერთად, სამხედრო მოსამსახურისთვის სათანადო პირობების შექმნა და არსებულის გაუმჯობესება, ხელს შეუწყობს ჯარისკაცის მოტივაციისა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას. თავდაცვის სამინისტროში მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება მიმართული გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.

სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მართვა

განხორციელდება სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემების შემდგომი დახვეწა. სამხედრო პერსონალის მართვის მხრივ პრიორიტეტი იქნება სამხედრო მოსამსახურეთა გადანაწილებისა და დანიშვნის, კარიერის მართვის, სამოქალაქო საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და საკომპენსაციო საპენსიო სისტემების განვითარება. სამოქალაქო პერსონალის მართვის მიმართულებით პრიორიტეტული იქნება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და კარიერის მართვის მექანიზმების განვითარება.

სოციალური მხარდაჭერა

თავდაცვის სამინისტრო ზრუნავს სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. „დაჭრილი მეომრის პროგრამის“ ფარგლებში გაგრძელდება საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაცია, სოციალური პირობების გაუმჯობესება და სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია.

2.2. ინსტიტუციური რეფორმები

თავდაცვის სისტემის განვითარება დამოკიდებულია წარმატებულ ინსტიტუციურ რეფორმებზე. რეფორმების განგრძობითობა ხელს უწყობს თავდაცვის მართვის მდგრადი სისტემის შექმნას. თავდაცვის სამინისტრო გენერალურ შტაბთან ერთად, მოახდენს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის განახლების პროცესის ინიცირებას. აღნიშნული პროცესი წარიმართება უწყებათაშორისი კოორდინაციით, უცხოელი ექპერტებისა და არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობით.

გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების მიზნით და სამინისტროში გენდერული აუდიტის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ჩატარდება გენდერის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, შიდაუწყებრივი აქტების გადახედვა, გენდერული მრჩევლების შემდგომი გადამზადება, გასაჩივრების ეფექტური მექანიზმების შემუშავება. სამინისტრო გააგრძელებს გენდერის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას არასამთავრობო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის გზით.

თავდაცვის რესურსების ეფექტური მართვა

გაგრძელდება თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია და პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების პროცედურების დახვეწა. ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობის გაზრდის მიზნით, შემუშავდება ერთიანი საფინანსო პოლიტიკა და დაინერგება საფინანსო მმართველობის ელექტრონული პროგრამა. გაგრძელდება მუშაობა შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით. პარლამენტისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა შესყიდვების პროცესის მონიტორინგში უფრო ინტენსიური გახდება.

შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა

თავდაცვის სამინისტროში მოხდება შიდა აუდიტის ფუნქციის სრულყოფილად ამოქმედება, რაც ეკონომიურობის, ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ამაღლებას უზრუნველყოფს. განხორციელდება სამინისტროს გენერალური ინსპექციის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება და ეფექტური მექანიზმების ამოქმედება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

მოხდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსური დაგეგმვის, ბუღალტრული აღრიცხვის და ლოგისტიკური ოპერაციების ავტომატიზაცია. ასევე, დაინერგება სამინისტროს სასაქონლო მარაგების სისტემური ელექტრონული ლექსიკონი.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ეფექტური კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას, კიბერ ინციდენტებზე რეაგირების 24/7 მექანიზმების დანერგვას, კვალიფიციური კადრების მომზადებას, უწყებათაშორის და საერთაშორისო თანამშრომლობას.

რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დახვეწა

შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, რეზერვისა და მობილიზაციის არსებული სისტემის ანალიზის საფუძველზე და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოხდება რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკანონმდებლო ბაზის განახლება.

გამოცდილების გაზიარება

თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში დაგროვილი გამოცდილების და ნატოს ექსპერტების მხარდაჭერით შეიქმნა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანი დაინტერესებული ქვეყნებისა და ორგანიზაციებისთვის თავდაცვის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებაა. დაიწყება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დაარსებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.

2.3. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

თავდაცვის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლებას. სამინისტროს მართვა, შეირაღებული ძალების განვითარება და გამოყენება, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების შესყიდვა ხორციელდება დემოკრატიული კონტროლის პრინციპების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტთან, მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა ხელს უწყობს თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლებას, ამავე დროს, უზრუნველყოფს ღია მმართველობას.

ანგარიშვალდებულების ზრდა

ნატოსთან კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივის ფარგლებში, გაგრძელდება „კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა 2014-2015“-ის განხორციელება, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში კორუფციის რისკის შემცირების ხელშეწყობას გულისხმობს. ამასთან, ეფექტიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარების მიზნით, შეიქმნება კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭო, რომელიც ხელს შეუწყობს 2015-2016 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

პარლამენტთან ურთიერთობა

მეტი ძალისხმევა იქნება მიმართული პარლამენტთან ურთიერთობისა და დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების განმტკიცებაზე, განსაკუთრებით ინტენსიური გახდება ურთიერთობა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან, ასევე, გაგრძელდება თავდაცვის სამინისტროში გატარებული რეფორმებისა და სამომავლო გეგმების შესახებ თავდაცვის მინისტრის წლიური მოხსენებით წარდგენა პარლამენტში.

თანამშრომლობა მედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. მოხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი სტრატეგიის შემუშავება. სამოქალაქო საზოგადოებისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ინფორმირების მიზნით, გაგრძელდება თავდაცვის უწყების წლიური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის - „თეთრი წიგნის“ გამოცემა. გააქტიურდება ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან არსებული და ახალი თანამშრომლობის ფორმატების ფარგლებში, რაც მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების პროცესში მათ ჩართულობას გულისხმობს.

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია

ყოველწლიურად იმართება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია, რომლის მიზანია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის და ექსპერტიზის გაზიარება, ასევე, თანამშრომლობის გაღრმავება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო და ეროვნული დონის, სამთავრობო, საპარლამენტო და სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობით.

3. თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება

თავდაცვის ბიუჯეტში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. ამ მიზნით, დიდი ძალისხმევა იქნება მიმართული შესაძლებლობების განვითარების გეგმების, სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნა-განახლებისკენ. აღნიშნული ემსახურება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ხელს უწყობს მზადყოფნის დონის შენარჩუნებას.

3.1. განათლება, წვრთნები და დოქტრინები

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო განათლებას და პროფესიულ განვითარებას, სამხედრო მოსამსახურეების საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებას და თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწას. ქართველი სამხედროები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სწავლებებსა და სპეციალიზებულ წვრთნებში. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა არსებული გამოცდილებისა და პრაქტიკის დოქტრინებში ასახვას.

განათლება და პროფესიული განვითარება

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მოხდება მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება, სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. განხორციელდება პერსონალის მართვის და პროფესიული განვითარების ხარისხის ამაღლება, გაუმჯობესდება პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების სისტემა. დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები აღმოსავლეთ საქართველოში კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს, როგორც საკუთარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას, ასევე, სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში.

სამხედრო დოქტრინები

გაგრძელდება შეიარაღებული ძალების დოქტრინების და წესდებების შემუშავების და დანერგვის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ოპერაციების და წვრთნების დროს მიღებული გამოცდილების და ნატოს ქვეყნების სტანდარტების გათვალისწინებით, შეიქმნება და დაიხვეწება შეიარაღებული ძალების დოქტრინები და საველე წესდებები.

სამხედრო წვრთნები

ყურადღება გამახვილდება ხარისხიან, რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ორგანიზებაზე, სადაც გამოყენებული იქნება თანამედროვე თეორიული და ტექნიკური საშუალებები. დაიწყება მუშაობა საერთო-საჯარისო მომზადების ცენტრის ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სპეციალიზირებული გადამზადების კურსები. მოხდება სიმულაციური წვრთნების სისტემების მოდერნიზება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ჩამოყალიბებაზე, სადაც მომავალში ჩატარდება ნატოს სწავლებები და წვრთნები ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოებისთვის. აღნიშნული ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას.

3.2. სამხედრო შესაძლებლობები

საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება მნიშვნელოვანი, თუმცა, ამავე დროს, რთული პროცესია. შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, თავდაცვის პოტენციალის გაუმჯობესებისას, სამინისტრო დაბალანსებულ მიდგომას იყენებს. აქედან გამომდინარე, კრიტიკული შესაძლებლობების განვითარება გეგმაზომიერად და ამოცანების პრიორიტეტიზაციის შესაბამისად მოხდება.

მართვა და კონტროლი

განხორციელდება შეიარაღებული ძალების კომპონენტების სტრუქტურული ოპტიმიზაცია, გაგრძელდება მართვისა და კონტროლის სისტემების სრულყოფა, აღიჭურვება და დაიხვეწება სტრატეგიულ-ოპერატიული დონის საველე მართვის პუნქტები.

მობილურობა, კონტრმობილურობა და ძალთა დაცვა

გაგრძელდება მობილურობის და კონტრმობილურობის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, სახმელეთო სატრანსპორტო შესაძლებლობების განახლება და სტანდარტიზაცია. გაგრძელდება მუშაობა საინჟინრო ბრიგადის სწრაფი რეაგირების ცალკეული რქბ (რადიაციული, ქიმიური, ბირთვული) დაცვის ქვედანაყოფის ჩამოყალიბებაზე, ასევე, განხორციელდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და რქბ დამცავი საშუალებებით აღჭურვა.

სამხედრო დაზვერვის სისტემა

ყურადღება გამახვილდება დაზვერვის ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებაზე. გაუმჯობესდება ქვეყნის სხვა სადაზვერვო უწყებებთან და პარტნიორ ქვეყნებთან კოორდინაცია.

საარტილერიო შესაძლებლობები

გადაიხედება და არსებული რესურსების გათვალისწინებით განახლდება საარტილერიო შესაძლებლობების განვითარების გეგმა.

ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები

გადაიხედება და არსებული რესურსების გათვალისწინებით განახლდება ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების გეგმა.

საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები

გადაიხედება და არსებული რესურსების გათვალისწინებით განახლდება საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების გეგმა.

სპეციალური ოპერაციების ძალები (სოძ)

გაგრძელდება სოძ-ის სტრუქტურული რეორგანიზაცია და დოქტრინული ბაზის შემუშავება; მოხდება სპეციალური ოპერაციების ძალების ამოცანებისა და დავალებების მკაფიოდ განსაზღვრა. გააქტიურდება სპეციალური ოპერაციების ძალების საერთაშორისო წვრთნებში მონაწილეობა;

სამხედრო პოლიციის შესაძლებლობები

განხორციელდება სამხედრო პოლიციის რეორგანიზაცია, სამხედრო პოლიციის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა; პირადი შემადგენლობის სპეციალიზირებული წვრთნა და კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტებთან შესაბამისად.

ლოგისტიკის სისტემის ტრანსფორმაცია

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შემუშავდება ლოგისტიკური დოქტრინა და განხორციელდება ლოგისტიკური სისტემის ტრანსფორმაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს ლოგისტიკის სისტემის გაუმჯობესებას, არსებული რესურსების ეფექტურ ათვისებას და ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარებას.

სამხედრო ინფრასტრუქტურა

განხორციელდება თავდაცვის მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურული საჭიროებების განსაზღვრა, განვითარებისა და მოდერნიზაციის შესაბამისი გეგმის უზრუნველყოფა. კერძოდ, კვების არსებული ობიექტების განახლება და ახლის მშენებლობა. ასევე, მოხდება საყაზარმე ინფრასტრუქტურის განვითარება.

4. ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნატოსა და ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით და წარმატებით აგრძელებს თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციას. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მომავალშიც გააგრძელებს ევროკავშირისა და ნატოს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში წვლილის შეტანას.

4.1. ნატო

საქართველომ ნატოში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ნატოს უელსის სამიტზე საქართველო აღიარებულ იქნა ალიანსის ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორ სახელმწიფოდ. ამასთან, დასახელდა „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის ჯგუფის“ წევრად (Enhanced Opportunity Partners Group) და მიწვეულ იქნა "პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივაში (Partnership Interoperability Initiative). სამიტზე საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობაა. თავდაცვის სამინისტრო ორიენტირებული იქნება პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულ და ეფექტურ განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს ნატოში ინტეგრაციის პროცესს.



გრაფა №2: ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი

არსებითი პაკეტი წარმოადგენს თანამშრომლობის ახალ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, უსაფრთხოების განმტკიცება და ნატოსთან თავსებადობის ამაღლება. პაკეტი ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივის "CFI" მხარდასაჭერად ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაარსება, ნატოს სტანდარტების ლოგისტიკური შესაძლებლობების შექმნა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის საკითხებზე სკოლის დაარსება. არსებითი პაკეტის ეფექტური განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი იქნება არსებული რესურსების და საერთაშორისო დახმარების მობილიზება.

ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალები

მიმდინარე წელს საქართველო ჩაერთვება შეკავშირებული ძალების ინიციატივის (CFI) ფარგლებში არსებულ ნატოს საპასუხო ძალებში (NRF). დაგეგმილია NRF-ში მონაწილეობის გაგრძელება 2015 წლის შემდეგაც, რაც გაზრდის საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობას.

ნატოს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობა

საქართველო ერთგული რჩება გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების მიმართ. საქართველო აგრძელებს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ მონაწილეობას შეიარაღებული ძალების ერთი ქვეითი ბატალიონით და ასეულით.

ნატოსთან თანამშრომლობის სხვა ფორმატები

გაგრძელდება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC), ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP), დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP), ნატოს სამხედრო კომიტეტი+საქართველო სამუშაო გეგმის (MC+GEO WP) და თანამშრომლობის სხვა ფორმატების საშუალებით ალიანსთან აქტიური ურთიერთობა.

ნატოს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობა

საქართველო გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების მიმართ ერთგული რჩება. საქართველო აგრძელებს ავღანეთში, ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ მონაწილეობას შეიარაღებული ძალების ერთი ქვეითი ბატალიონით და ასეულით.

4.2. ევროკავშირი

თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში გაგრძელდება ევროკავშირთან თანამშრომლობა და კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართულობა.

გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე,
საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი
გენერალი პატრიკ დე რუზიე,
ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე

4.3 ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება

საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობის გასაძლიერებლად და საგარეო და უსაფრთხოების პრიორიტეტების მხარდასაჭერად, თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს ინტენსიურ თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით. სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გაღრმავდება თანამშრომლობა ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში ყურადღება გამახვილდება როგორც ,,თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის" მიმართულებებზე, ასევე, სხვა პრიორიტეტულ სფეროებზე. ამასთან, სხვა პარტნიორ ქვეყნებთან იგეგმება ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა: ერთობლივი სწავლებების რაოდენობის და მასშტაბების ზრდა, საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაძლიერება, თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა.

რეგიონული თანამშრომლობის ფორმატი

ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატს, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული პარტნიორობის გაძლიერებას, ინიციატივაში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების თანამშრომლობის ზრდას და უსაფრთხოების განმტკიცებას.

მინდია ჯანელიძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი
ჩაკ ჰეგელი, ამერიკის თავდაცვის მდივანი

5. დასკვნა

Სახელმწიფოს თავდაცვის პოტენციალის გაუმჯობესება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ მიზნად რჩება. საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განმტკიცება რესურსების და ძალისხმევის მობილიზებას მოითხოვს. თავდაცვის ტრანსფორმაციის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ინსტიტუციური რეფორმების ინიცირებაზე, თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესებაზე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაზე.

თავდაცვის სამინისტრო, განაგრძობს თავდაცვის სისტემის სრულყოფას საქართველოს უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევების და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. საქართველოს შეიარაღებული ძალები გააგრძელებს ნატოსა და ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და აქტიურად იქნება ჩართული საერთაშორისო მისიებში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმართულ ძალისხმევას და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

Minister's Vision

2015-2016

Contents

1. Introduction 25

2. Streamline Defence Management 27

2.1 Human Resources 27

2.2 Institutional Reforms 28

2.3 Transparency and Accountability 30

3.Improve Defence Capabilities 32

3.1 Education, Training and Doctrine 32

3.2 Defence Capabilities 33

4. Enhance NATO Interoperability and International Relations 35

4.1 NATO 35

4.2 EU 36

4.3 Bilateral and Multilateral Relations 37

5. Conclusion 38

Continued development of Georgia's defence capabilities and institutionalizing irreversible transformation of the Georgian Armed Forces is an important precondition to ensuring the security of the state. Essentially, the goal of transformation reforms aims to both enhance defence capability, attain NATO interoperability and foster NATO integration.

Our successful progress towards NATO will be advanced through the NATO-Georgia Substantial Package that will further develop our Armed Forces and enhance our national defence. Georgia is staunchly committed to its foreign policy course and fulfilling international commitments.

Transitioning the Armed Forces to a fully professional military is critical to raising its prominence not only within the Georgian public but also internationally. Professionalism emanates from the devotion and allegiance of each serviceman/servicewoman serving to protect Georgia's national values and interests.

Being aware that each serviceman/servicewoman is the essential element in the defence of the country, comprehensive efforts will be made to provide these individuals with appropriate equipment, compensation and capabilities to complement their devoted service for the unity and wellbeing of the country.

Mindia Janelidze
Defence Minister of Georgia

1. Introduction

The Minister's Vision is a guiding document of the Ministry of Defence (MOD) providing Armed Forces' development priorities. These priorities promote Georgia's national interests and values as identified in the National Security Concept (NSC), address the threats and challenges reflected in Georgia's Threat Assessment Document and support the military goals and capability requirements in the National Military Strategy (NMS) associated with the Armed Forces' mission of defending the country, fulfilling international obligations and assisting civilian authorities during natural and man-made disasters. The priorities are consistent with the Strategic Defence Review, lessons learned from the MOD's transformation experience as well as engagement with NATO and partner states.

The Minister's Vision promotes the further development of Georgia's Armed Forces (GAF) and its transformation to a modern, professional armed forces fully interoperable with Euro-Atlantic partners and capable of participating in NATO-led, EU-led and other international missions and operations. In this connection, implementing the NATO-Georgia Substantial Package, from the NATO 2014 Wales Summit, will strengthen our Defence and interoperability.

The MoD main directions for 2015-2016 are as follows:

- Streamline Defence Management
- Improved Defence Capabilities
- Enhance NATO interoperability and International Cooperation

The Minister's Vision will be communicated and delivered through the principles of good governance promoted in a progressive organizational climate that institutionalizes the essential characteristics (see figure N1 below).

Figure N1 Good Governance Principles

Streamline Defence Managment

Human Resources

- Managment of military and civil personnel and career development
- Social support
- Gender equality

Institutional reforms

- Effective resource managment
- Improve internal control mechanisms
- Cybersecurity provision
- Information technology
- Improve of reserve and mobilization system
- Experience sharing

Transparency and accountability

- Accountability
- Cooperation with Parliament
- Civil, media and NGO engagement
- GDSC

Improve Defence Capabilities

Education, training and doctrine

- Education and professional development
- Military doctrine
- Military training

Military capabilities

- Command and control
- Mobility and counter-mobility
- Militarty intelligence system
- Artillery capabilities
- Anti-Armour capabilities
- Air defence capabilities
- Special operation forces
- Military police capabilities
- Logistics system
- Military infrastructure

Enhance NATO Interoperability and International Relations

NATO

- Substantial Package
- NATO interoperable armed forces
- Resolute Support (Afghanistan)
- Cooperation formats

EU

- Participate in EU-led missions
- Commitments towards EU

Bilateral and multilateral cooperation

- Enhance cooperation with partner states
- Regional cooperation

Figure 2 : MoD priorities for 2015-2016

2. Streamline Defence Management

Streamlining defence management will improve defence capabilities and support the transition of the GAF to modern professional Armed Forces. In doing so, significant attention will be paid to the continued development of effective personnel management processes, embedding irreversible institutional reforms, improving interagency cooperation and institutionalising democratic control mechanisms.

2.1. Human Resources

MOD will further enhance efforts to attract and retain professional and motivated military and civilian personnel. Together with professional development of GAF personnel, further development and improvement of existing conditions for military personnel will strengthen their motivation and combat spirit. These efforts will also be directed to support gender equality.

Military and Civilian Personnel Management

To develop further: the military and civilian personnel management systems; the military retention and recruitment programmes; job performance; and career planning; as well as introduce pension system management mechanisms.

Social Support

To improve social, military accommodation and working conditions of service personnel and their families with special emphasis on rehabilitation of wounded personnel under the 'Wounded Warrior Program' including psychological counseling, as well as improving the social conditions of the disabled and wounded to facilitate their reintegration into civil society.

Gender Equality

To implement the MOD Gender Equality Strategy, to reinforce gender equality, considering issues revealed by the gender audit, gender awareness activities, review of internal MOD policies, further retraining of gender advisers will be conducted, as well as effective appeal mechanisms will be developed. The continual fulfillment of national and international obligations will be in close cooperation with non-governmental organisations.

2.2. Institutional Reforms

Further embedding successful institutional reforms will provide a sustainable Defence Management System. The MOD together with GS will review and evaluate the implementation of the SDR within an interagency setting with the active involvement of foreign experts and NGOs.

Enhancing Resource management

To increase effectiveness procedures for resource managment system and programme-based budgeting will be further elaborated; as will financial policies and governance software programmes to enhance financial transparency and effective decision-making; procurement procedures will continue to be refined, including engagement with Parliament and civil society to increase monitoring as well as review overly restrictive procurement regulations.

Improving internal controls

To improve risk management, controls and governance internal audit functions will be implemented; the functions of General Inspection will be reviewed; with associated guidelines developed and effective mechanisms put in place.

Developing Cyber Security

To develop the necessary arrangements for effective cyber defence, cyber incident response (24/7) mechanisms will be introduced also personnel training as well as improved interagency and international cooperation will continue.

Implementing Information Technology

To increase automated working the human resource management, financial, planning and accounting records and logistic operations will be automated and a systemic e-dictionary of stocks will be introduced.

Improving Reserve and Mobilization System

To develop a modern reserve and mobilization system a Concept and Action Plan will be developed, aligned to resources and based on a comprehensive analysis of the current system and international best practice, with the legislative base revised.

Sharing experiences

To share Georgia's reform experience internationally a Defence Institution Building (DIB) Team is being established, with the support of NATO experts connected to the DIB school within the NATO-Georgia Substantial Package.

2.3. Transparency and Accountability

Applying the principles of democratic control over the Armed Forces the MOD will continue to increase transparency and accountability concerning Defence resources, acquisition and the use of the GAF. Cooperating with Parliament, media and civil society enhances transparency and accountability, improving the quality of executive decisions and ensuring implementation of the Open Governance Principle.

Enhancing Accountability

To build integrity and reduce corruption risks the "Building Integrity Action Plan for 2014-2015" will be implemented, stemming from participation in the NATO Building Integrity Programme; and a MOD Building Integrity and Anti-Corruption Monitoring Council will be established to support implementation of the National Anti-corruption Action Plan 2015-2016.

Engaging with Parliament

To strengthen democratic control engagement will intensify with the Parliamentary Defence and Security Committee concerning defence transformation, future plans and the Minister's Annual reporting to Parliament.

Georgia Defence and Security Conference

To discuss contemporary defence and security issues the MOD will host the 10th Conference for national and international governmental, parliamentarian and civil society representatives.

Engaging with media, civil Society and non-governmental organizations

To sustain active engagement a new Public Relations Strategy will be developed; the "White Book" reporting on annual activities and accomplishments will be issued; and engagement will continue in ongoing and planned reforms.

3. Improve Defence Capabilities

The MOD will continue to improve GAF defence capabilities, including level of readiness and NATO interoperability in line with the SDR and resources. Accordingly, considerable efforts have been directed to have executable development plans from strategic and conceptual documents.

3.1. Education, Training and Doctrine

Emphasis will continue to focus on education and professional development, maintain the combat readiness of service personnel and improving their skills. Service personnel participate in national and international training, including continuing specialized training. Considerable attention will be directed to reflect this experience and practice in doctrines.

Education and professional development

To improve the educational curricula and the material-technical base, the National Defence Academy will apply modern management approaches; while MOD ensures professional development programmes are evaluated for results within the personnel management system and that national and international training opportunities continue to be leveraged. Preliminary work will be launched to establish a Cadet's Military Lyceum in Eastern Georgia.

Military Doctrine

To institutionalize doctrine GAF tailored manuals will be produced, incorporating lessons learned during deployed operations, training and NATO interoperability standards.

Military Training

To enhance combat readiness emphasis will continue to stress high-quality, realistic combat training incorporating GAF doctrine and modern training technology; activities will be carried out to establish general military training centre with integrated specialized retraining courses in it; the simulation training system will be modernized; and significantly the NATO-Georgia Joint Training and Evaluation Centre, within the NATO-Georgia Substantial Package, will be established to host training for NATO and partner states. Establishing the Centre will strengthen Georgia's defence and increase NATO interoperability.

3.2. Military Capabilities

Strengthening GAF capabilities is important, complex and expensive. Modernization requires identifying specific priorities while applying a careful balance of resources to requirements in accordance with multi-year plans.

Command and Control

To optimize GAF structural components the command and control system, at strategic, operational and tactical levels, will be kept under continual review.

Mobility and Countermobility

To develop further mobility and countermobility capabilities, land transport capabilities will be upgraded and standardized; forming a separate Radiation, Chemical and Biological (RCB) Protection Unit within the Engineer Brigade will continue; personnel qualification, learning facilities and equipment with CBRN protection tools will be improved.

Military Intelligence System

To enhance intelligence technical capabilities cooperation with other intelligence agencies and expanded coordination with partner countries will be continued.

Artillery Capabilities Development

To review, revise and re-issue a capability development plan in line with available resources.

Anti-Armour Capability

To review, revise and re-issue a capability development plan in line with available resources.

Air-Defence Capabilities

To review, revise and re-issue a capability development plan in line with available resources.

Special Operation Forces (SOF)

To enhance SOF capabilities structural reorganization, doctrine, tasks and missions will be advanced and personnel will actively engage in international training.

Military Police Capabilities

To transform to a new organizational and functional structure and conduct personnel's specialized trainings and professional development in line with NATO standards.

Logistic System Transformation

To ensure AF combat requirements with better utilization of existing resources and logistic capabilities a logistic doctrine will be developed and the logistic system transformed.

Military Infrastructure Management

To manage the infrastructure effectively and efficiently development and modernization requirements will be determined in accordance with defence requirements. In particular, activities will be undertaken to renovate available food facilities and construct new ones as well as develop military barrack inftrastructure.

4. NATO Interoperability and International Relations

Georgia's key foreign and security policy priorities are to become member of NATO and the European Union. The Defence Ministry has achieved visible progress in fulfilling its commitments towards the NATO and EU and successfully continues the transformation of the Defence system. Georgia has also enhanced global security and stability through its significant contribution to both NATO and EU-led operations.

4.1. NATO

Georgia has made significant progress towards NATO integration. At the NATO Wales Summit 2014, Georgia was recognized as one of the most interoperable partner countries and recognized as a member of the Alliance's "Enhanced Opportunity Partners Group" and invited to "Partnership Interoperability Initiative" as well as granted a NATO-Georgia Substantial Package of expanded assistance and mechanisms to further progress Georgia's integration with NATO. The MOD will focus on timely and effective implementation of the Substantial Package that will help advance preparation towards membership.

NATO-Georgia Substantial Package

To implement the Substantial Package, a new mechanism, MOD will consolidate current resources to enable the establishment of a Joint Training and Evaluation Centre and logistic capability, facilitate multinational exercises in Georgia, share intelligence information and create a Defence Institution Building School. Implementing the Substantial Package will strengthen security, support national defence capabilities and NATO interoperability.



Figure N3 NATO-Georgia Substantial Package

NATO Interoperable Armed Forces

To enhance interoperability in 2015 Georgia will join the NATO Response Force (NRF) within the framework of the Connected Forces Initiative: participation is planned beyond 2015 to continue enhancing GAF interoperability with NATO member Armed Forces.

NATO-led Operations

To fulfil international commitments supporting global security Georgia has an infantry battalion and company in the NATO Resolute Support mission in Afghanistan.

NATO Cooperation formats

To enhance cooperation MOD will continue active engagement within various programmes, namely, NATO - Georgia Commission, Annual National Programme, Planning and Review Process, Military Committee + Georgia Work Plan and other cooperation formats, such as trust funds.

4.2. EU

The MOD will continue to actively fulfill its obligations under the EU Association Agreement, including in the Common Security and Defence Policy crisis management framework.

Mindia Janelidze, Minister of Defence of Georgia
Pedro Morenes Eulate, Minister of Defence of Spain

4.3.Bilateral and Multilateral Relations

Enhancing cooperation with partner nations

To enhance Georgia's defence capabilities and fulfill its international commitments, the MOD will intensify its cooperation with partner states (especially NATO and EU states) through bilateral and multilateral frameworks. Special emphasis will be put on close cooperation with the United States within the framework of the Strategic Partnership Charter. Within the bilateral cooperation format, particular attention will be directed to "Enhanced Defence Cooperation" and other priority directions. Furthermore, cooperation with partner nations will continue to emphasize priorities such as increasing joint training exercises, enhancing defence capabilities and fulfilling international education opportunities.

Regional cooperation

To enhance regional partnership together with enhancing bilateral cooperation the foundation has been laid for trilateral cooperation with Georgia, Azerbaijan and Turkey; such cooperative arrangements strengthen regional partnership and cooperation between the nations' armed forces while strengthening the regional security environment.

5. Conclusion

The MOD continues to improve Georgia's Defence system taking into account resources, the security challenges facing the nation and in accordance with our foreign policy interests. To strengthen GAF capabilities relevant priorities, resources and efforts are being addressed. Within defence transformation, initiating institutional reforms, streamlining the Defence management system, and enhancing transparency and accountability are of vital importance. The GAF will continue to fulfill NATO and EU obligations through participation in international stabilization missions. All of which will enhance our national defence capability and facilitate Georgia's Euro-Atlantic integration.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
თბილისი, საქართველო
Ministry of Defence of Georgia
Tbilisi, Georgia
www.mod.gov.ge

© თავდაცვის სამინისტრო
2015

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
თბილისი, საქართველო
www.mod.gov.ge